№ 186

ოთხშაბათი, 10 სექტემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 186

ოთხშაბათი, 10 სექტემბერი, 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ღირს 4 მან. 75 კაპ.

ა ღ ე ბ-მ ი ც ე მ ა

„შუამავალი“

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან გამართა ახლად საყასბო და 10 ენკენისთვიდგან შეუძლიან ყველას შე-ძინოს აქ ხორცი: ძროხისა, ცხვრისა, ღორისა და აგრეთვე ხბო, ბატკანი და ნანადირევი ყოველგვარი.

ხორცი იქმნება მუდამ ახალი და სრულიად წუნდაუდებელი. საყასბო სამაგალითოდ არის მოწყობილი.

(3—6.—1)

ვკისრულობ

ხელთნაწერების გამოცემასა (ბეჭდვას) ავტორთა და მათ პატივისმცემელთა ხარჯით.

ადრესი: ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

(3—167—1)

სასწავლებელი და პანსიონი

გ. ლ. კუზანოვისა.

მიიღებს მოსწავლეებს 25 აგვისტოდგან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდგან.

მუხრანიანთ და ვანქის ქუჩების კუთხეში, სახლი ყორღანოვისა და ჯანშიევისა, № 12.

(7—170—3)

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორი ფ. ა. ბიკოვი დღეს, 10 სექტემბერს, დაათვალიერებს მეტეხის საპატიმროს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ დავით კეზელსა და ალ. მახარაშვილს, რომელნიც სასამართლომ დამნაშავედ იცნო აზნ. ბარამ შაბურიშვილის მოკვლის საქმეში და აგრეთვე მოკლულის ოჯახსაც საქმე სამოსამართლო პალატაში გადააქვთ.

*** ბ-ნ გზათა მინისტრის მიერ გამოგზავნილი ინჟენერი ბ-ნი იოლშინი ამ დღეებში გაემგზავრა ყარსის რკინის გზის დასათვალიერებლად. ყარსის რკინის გზა, როგორც ეხლა მუშაობას დაეტყო, დასრულებულ იქნება მომავალ 1898 წ. მეორე ნახევარში და 1899 წელს შეუდგებიან რკინის გზის გაყვანას ერევანზედ.

*** 7 და 8 სექტემბერს უცხო ქვეყნელმა გეოლოგებმა დაათვალიერეს ტფილისში საბოტანიკო ბაღი, აბანოები, ნავთლუხის ნავთის წყაროების ალაგი, სააბრეშუმო სადგური მუშტაიდში და სხვა შესანიშნავი ადგილები ტფილისისა.

*** ტფილისში ჩამოვიდნენ რვა ბეითალი, რომელნიც გამოგზავნილნი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ტფილისის გუბერნიაში საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

*** ვბეჭდავთ სიტყვა-სიტყვით ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენს, ბარამ შაბურიშვილის მოკვლის საქმის გამო დადგენილს: ბრალდებულნი ტფილისის გუბერნიის აზნაური დავით ივანეს ძე კეზელი, 42 წლისა და დუშეთის მაზრის, სოფ. ჟაგაურის მცხოვრები, გლეხი ალექსანდრე გაბრიელის ძე მახარაშვილი 21 წლისა, დამნაშავენი არიან იმაში, რომ 1-ლს ნოემბერს 1896 წ., ს. საშაბუროს მახლობლად, გაანჩხლებისა და განრისხების გამო, მაგრამ განზრახ, აზნაურს კონსტანტინე ბარამის ძე შაბურიშვილს თოფი ესროლეს იმ აზრით, რომ მოეკლათ, მაგრამ მათგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო განზრახვა არ შეუსრულდათ, ტყვია შაბურიშვილს არ მოჰხვდა; ამის გამო ბრალდებულთ დავით ივანეს ძეს კეზელსა და გლეხს ალექსანდრე გაბრიელის ძეს მახარაშვილს ამ დანაშაულისათვის, თანახმად სასჯელთა დებულების მე-2 ნაწ. 1455, 149, 2 ხარისხ. 20, 115, 3 ხარისხ. 31, 134, 135 და 5 ხარისხ. 31 მუხლისა, ყოველივე პირადად და წოდებრივად კუთვნილი უფლება და უპირატესობანი ჩამოერთვათ და ბრალდებული კეზელი ტობოლსკის გუბერნიაში იქმნას საცხოვრებლად გაგზავნილი და შემდეგ სასჯელთა დებულების 47 მუხლის თანახმად მოეპყრნენ, ხოლო ბრალდებული მახარაშვილი პატიმართა განყოფილებაში იქმნას ერთის წლით გაგზავნილი, რომლის შემდეგაც მე-48 მუხლის თანახმად მოეპყრობიან და სასჯელთა დებულების მე-77 მუხლს დაუმორჩილებენ, თუ ამას გარემოება მოითხოვს. ბრალდებულთ დავით კეზელსა და ალექსანდრე მახარაშვილს განჩხლებისა და განრისხების გამო განზრახ აზნაურის ბარამ შაბურიშვილის მოკვლა ვერ დაუმტკიცდათ და გამართლებულ იქმნენ. საქალაქო საჩივარი აზნაურის ქვრივის სოფიო შაბურიშვილისა არ იქმნა განხილული.

*** ავლაბრელებს საჩივარი მიუციათ ბ-ნ გუბერნატორისათვის, რომ ჯერ ავლაბარში არც ერთი სული საქონელი ჭირით ავად არ გამხდარა და ჭირით ავადმყოფ საქონლისათვის ავლაბარში-კი ბაკი გააკეთეს, რის გამოც გვეშინიან, რომ ჩვენ საქონელსაც არ გაუჩნდეს ჭირიო, და სთხოვენ ამ ბაკების სხვა ალაგას გადატანას.

*** 24 აგვისტოს სოფ. ურიათუბანში უკურთხებიათ ახალი ეკკლესია, რომელიც, თანახმად თავ. დ. ს. ჭავჭავაძის ანდერძისა, მისმა ძმამ თავ. ივანე ჭავჭავაძემ და ძმისწულმა თავ. სულხან ჭავჭავაძემ ააშენეს. ეკკლესია სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის წევრმა არქიმანდრიტმა ლეონიდმა აკურთხა, რომელმაც ამ შემთხვევის გამო გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. ეკკლესიის კურთხევას მრავალი მლოცავი დაესწრო.

*** ამ წინაზედ მტკვარში დამრჩვალი ქალი სოფ. მარტყოფის მცხოვრები მელანია რაზმაძისა აღმოჩნდა.

*** 8 სექტემბერს გეოლოგოსთა ერთი ნაწილი ბორჯომს წავიდა, მეორე ტყიბულის ქვანახშირის დასათვალიერებლად წავიდა. დღეს, 10 სექტემბერს, ორივენი ერთად შეიყრებიან სად. ხაშურში და ტფილისში დაბრუნდებიან.

*** ქალაქს გარდაუწყვეტია ტფილისის უსახელო საზოგადოების ტრამვაი გამოისყიდოს და ამის შესახებ მალე მოლაპარაკებასაც შეუდგებიან, რადგანაც ქალაქისათვის ტრამვაის შეძენა საზარალო არასოდეს არ იქნება.

*** იმ სადილზედ, რომელსაც 11 სექტემბერს ქალაქის გამგეობა გაუმართავს უცხოელს სტუმრებს, გეოლოგოსთ, ქალაქის ყველა ხმოსანნი და ადგილობრივის ადმინისტრაციის უფროსნი მოხელენი არიან მიწვეულნი.

*** 1-ლიდგან 8 სექტემბრამდის 22 ძროხა კიდევ გამხდარა ავად საქონლის ჭირით. ამათგან 14 მომკვდარა.

*** ქალაქის გამგეობის მინდობილების თანახმად სავაჭრო მეურნეობის უფროსმა ზედამხედველმა ბ-ნმა ჯაბადარმა ამ დღეებში ტფილისის ქუჩის ფარნები დაათვალიერა და 9 სექტემბერს ქალაქის გამგეობას მოახსენა, რომ მრავალი მათგანი სრულიად უვარგისია და აღარ შეიძლება მათი ხმარებაო.

*** დღეს, 10 სექტემბერს, ტფილისში თავმოყრილს კავკასიის ჯარებს ნათლუხს ქვეით საომარი გამოცდა და სროლა ექმნებათ, რომელსაც კავკასიის მთავარ მართებელი თავ. გოლიცინი დაესწრება.

*** 6 სექტემბერს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა და მასთან ერთად სხვა თავად-აზნაურებმა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილს მიულოცეს, რომელსაც ამ დღეს შეუსრულდა სამოცი წელიწადი, რაც ოფიცრის ხარისხი მიიღო.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებით განყოფილების მეორე საშემოდგომო სესსია ქ. გორში ამ მიმდინარე წლის 13 ნოემბერს დაიწყება და 27 ნოემბრამდის გასტანს.

*** ტფილისის ქალაქის თავის კანდიდატებად ხმოსნებს კ. მ. ალიხანოვსა, გ. გ. ევანგულოვსა და კ. ნ. რეიტერს ასახელებენ. ქალაქის თავის არჩევა 6 ოქტომბრისათვის არის დანიშნული.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლებსა და დეპუტატებს 10 სექტემბერს დაეფიცებენ და დაუყოვნებლივ თავისს თანამდებობის შესრულებას შეუდგებიან.

*** მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ დღეებში გარდაიცვალა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის მდივანი ილია მოსეს ძე კიკნაველიძე. მიზეზი ასეთის უეცარის გარდაცვალებისა იყო ცხენიდგან გადმოვარდნა და მძიმედ დაშავება. აი რა ნაირად დატრიალდა ეს უბედურება სოფ. სვირში. 30 აგვისტოს, სტუმრად იყო განსვენებული ცოლშვილით დეკანოზ მიხეილ ჭედლიძისას, სალამო ჟამს გაისტუმრა ცოლშვილი სოფ. ოფჩისკენ და პატარა ხნის შემდეგ თითონაც შეჯდა ცხენზედ და დაედევნა უკან. არ გასცილებია დეკანოზ ჭედლიძის ეზოს, რომ ცხენი რაღაზედაც დაფრთხა და გადმოაგდო მხედარი, შეიქნა წივილ-კივილი, მისცვივდნენ აწ განსვენებულს და რის ვაი ვაგლახით შეიტანეს მძიმედ დაშავებული ჭედლიძის სახლში. აფრინეს მაშინვე კაცი ექიმებთან, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვეღარა უშველეს რა.

*** ქალაქის საბჭოს დღევანდელს სხდომაზედ შემდეგი საყურადღებო საგნები იქნება განხილული: აზრი ქალაქის გამგეობისა ქალაქში მცხოვრებთა ბინის გარდასახადის შესახებ ქალაქის სასარგებლოდ, აზრი გუბერნატორისა სახელმწიფოს სასარგებლოდ ბინაზედ გარდასახადის შემოღების შესახებ კომლეულ გარდასახადის ნაცვლად, რომელსაც დღეს ქალაქის მკვიდრნი იხდიან და ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება იმის შესახებ, რომ სავაჭრო მეურნეობის პოლიცია შეცვლილ იქმნას.

*** რადგანაც ახლა საზამთრო საძოვარზედ მიერეკებიან საქონელს, ტფილისის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, მაზრის უფროსებმა და გუბერნიის ბეითალებმა სასტიკად ადევნონ თვალ-ყური, როდესაც საზაფხულო საძოვრიდგან საქონელს საზამთრო საძოვარში გადაჰრეკენ. ამისათვის ადგილობრივმა ბეითალებმა და იმ ნაწილის ბოქაულმა, სადაც საქონელი უყენიათ, ადგილობრივ, იალაღზედვე, უნდა გასინჯონ საქონელი და თუ სენი რამ არ აღმოაჩნდება, საგზაო მოწმობა მისცენ საქონლის პატრონს და იმავე დროს გააფრთხილონ გუბერნიის რა და რა ადგილშია საქონლის ჭირი, რომ იმ მხარეზედ არ გაატარონ: ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქონელს ჭირი აღმოაჩნდა, ავადმყოფი საქონელი და ცხვარი იალაღზედვე უნდა დასტოვონ იმ დრომდე, ვიდრე სალი საქონელი და ცხვარი მთლად გამოიკრიბება საძოვრიდგან. ჭირიან საქონლისა და ცხვრისათვის ბეითალი ცალკე მოწმობას მისცემს, სადაც აღნიშნული იქნება, თუ რა გზით უნდა გადარეკონ და სად დააყენონ ხოლმე გზაზედ. იმ საქონლისა და ცხვრის პატრონებს, რომელთაც მოწმობა არ ექნებათ და საზამთრო საძოვარში ავადმყოფი საქონელი აღმოაჩნდებათ, პასუხის გება მოეთხოვებათ.

*** როგორც გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ გაუგონია, დაღესტნის ოლქის უფროსის უფროსი თანაშემწე თავ. ი. ი. შალიკაშვილი ამ თანამდებობას თავს თურმე ანებებს და სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლობას კისრულობს.

*** დღეს გამოვიდა მე-IX სექტემრის ნომერი „მოამბე“-სი ამ შინაარსით:

„მოლიპულ გზაზე“.—მოთხრობა ან. ერისთავისა (დასასრული); „მყინვარს“.—ლექსი შ. მღვიმელისა; „ჰაიდა აქედან“!—ეტიუდი იასონ ნიკოლაიშვილისა; „გლეხი-კაცის ისტორია“.—ნაწილი მეორე.—ერკმან შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა; „ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით“.—(გაგრძელება) თარგმანი ინ-ანისა; „ტბათნიდან წოვათამდინ“:—(მგზავრის შენიშვნები) (დასასრული) ივ. ბუქურაულისა; „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები.—-XLI,—ალ. ს—შვილისა; „შავი-ჭირი (ჟამი) და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი“.—კ. ელიოზიშვილისა და „საქართველოს სიძველენი“.

—

**შეცდომის გასწორება.** ბ-ნ დუტუ მეგრელის წერილებში: „ბ-ნი შ. არაგვისპირელი და მისი უკანასკნელი ეტიუდებში“ შემდეგი შეცდომები მოგვსვლია: მე-180 №-ის მეორე გვერდზედ მეხუთე სვეტში სწერია: „შესამოკლებლად“, უნდა იყოს: „შეუმოკლებლად“. მე-182 №-ის პირველ გვერდზედ მეხუთე სვეტში სწერია: „სად შეუძლიან „ბრბოს“, უნდა იყოს: „ბრმას“

და მე-183 №-ის მესამე გვერდზედ 3 რველ სვეტში სწერია: „თავისის ძმის“, უნდა იყოს: „მამის“...

## „ხელოსანთა ამხანაგობის“ წევრთა კრება

კვირას, 7 სექტემბერს, მეც დავესწარი შემთხვევით ზემოხსენებულ ამხანაგობის წევრთა კრებას, რომელიც იყო ქართულის თეატრის დერეფანში მ. ნასიძის თავმჯდომარეობით და ბ. ჩოდრიშვილის მდივნობით.

რაც ამხანაგობის დაარსება განიზრახეს, იმის შემდეგ თურმე ყოველ კვირას იკრიბებიან ხსენებულს ალაგას საწევრო ფულის წვრილ-წვრილად შემოსატანად, თუ განზრახული საქმის უკეთ მოწყობის მოსალაპარაკებლად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რადგანაც წევრები მომეტებულად შეუძლებელი ხელოსნები არიან, რომლებისათვისაც საწევრო ფული — 3 მან. და პაის — 10 მან., სულ კი 13 მან. შემოტანა ერთ-ორ ხელად მეტად გასაჭირია, ამიტომ გადაუწყვეტიათ ყოველ კვირა დღეს შემოიტანონ არა ნაკლებ ერთის მანათისა, ვისაც-კი შეუძლიან.

კვირას 27-დის წევრმა მოიყარა თავი, რომელთა შორის რადენიმე პირველად მოსულიყო წევრად ჩაწერის სურვილის გამოსაცხადებლად, რისათვისაც საკმარისი იყო ერთის მანათის წარმოდგენა. წევრად ჩაწერა ყველა ხელოსანს შეუძლიან წოდებისა და ეროვნების განურჩევლად. თავმჯდომარის მაგიდაზედ ელაგა დაბეჭდილ ბარათების წიგნი კასისა და ოქმები. ამ წიგნების გადათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ ამ ხელად საზოგადოების წევრებად სამოცამდის (მგონი ცოტა მეტიც) კაცი ითვლება, რომლებსაც შემოუტანიათ 172 მან. მოლარეს ფული კასაში თურმე შეაქვს წიგნაკით. ეს წიგნაკიცა და უკანასკნელ კვირაში შეკრებული ფულიც მაგიდაზედ ეწყო.

ფულის შემოტანისა და ბარათების მიცემის შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რითა და როგორ დაიწყოს მოქმედება მომავალმა ამხანაგობამ, რადგანაც გამოირკვა, რომ ამ 9—10 თვის განმავლობაში შეიკრიბება ორასამდის თუმანი ფული, რაც სრულიად საკმარისი იქნება პირველ ხანად საქმის გასაძღოლად. ამ საკითხის განსჯაში თითქმის ყველა ხელოსნებმა მიიღეს მონაწილეობა. თითო-ოროლანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ პირველად მხოლოდ საწყობი დავაარსოთო, რადგანაც, იმათის აზრით, ეს მცირე ხარჯს მოითხოვს და ადვილი მოსახერხებელიც არის, ზოგნი სახელოსნოს დაარსებას პირველ ალაგს აყენებდნენ: სახელოსნო თითონ დააარსებს საწყობსაც, როდესაც ბლომად აღეჯს დაამზადებსო; ხოლო უმრავლესობა-კი იმ აზრს დაადგა, რომ საქმის უკეთ მოსაწყობად და შეძლებულ-შეუძლებელ წევრთა გულის მოსაგებად საჭიროა ერთად დაარსდეს როგორც საწყობი, აგრეთვე სახელოსნო ქარხანაო. ამ კერძო კრებასარ შეეძლო საბოლოოდ გადაეწყვიტა ასე თუ ისე ეს მძიმე საგანი, რადგანაც ეს საქმე საერთო საზოგადოების კრების სრულს კუთვნილებას შეადგენს. ამ კერძო კრებას უნდოდა მხოლოდ ამ საგნის გამორკვევა, რათა ყოველი წევრი უფრო უკეთ შეუდგეს იმის გამოკვლევა-გამოძიებას და საზოგადო კრებას თავისი დაბეჯითებული და მტკიცე აზრი წარუდგინოს საქმის ასე თუ ისე გადასაწყვეტად.

ვუსურვებთ ამ ახალგაზდა საზოგადოებას ყოველსავე წარმატებასა და კეთილდღეობას.

ი. გ—რი

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

24 აგვისტო.

ჩვენი მოლოდინი ზედ-მიწევნით გამართლდა. ახალგაზდა ოსმალთა აგიტატორი ჩერქეზი მურად-ბეგი მოვიდა, დანარჩენებსაც მოელიან. ექვი არ უნდა, თუ მართალია ის ხმები, რომ ვითომ სულთანს მურად-ბეგისათვის ათი ათასი ლირა ეჩუქებინოს და დაენიშნოს იგი ოსმალეთში მოსალოდნელ ცვლილებათა უფროსად, — დანარჩენებიც ჩქარა წაეტანებიან ამ გემრიელ ლუკმას. ასეა თუ ისე, ჩერქეზ ახმედ ფაშის მისიამ ტყუილად არ ჩაიარა. ამ გამარჯვების შემდეგ ახმედ ფაშა უეჭველად კიდევ უფრო იმატებს სულთანის თვალში. აქ იმასაც ამბობენ, რომ მურად-ბეგი სულთანის მესაიდუმლე გახდებაო. როგორც საზღვარ გარეთის გაზეთები იუწყებიან, ახმედ ბეგს, რომელიც როდოსიდგან გაიქცა და რომელიც მეთაურობდა აქაურ ახალგაზდა ოსმალთა დასს, მურადის გაქცევის შემდეგ — უთქვამს ახმედ ფაშისთვის: მე თანახმა ვარ დიდის კმაყოფილებით დავბრუნდე უკან, მხოლოდ ავადმყოფობა ნებას არ მაძლევს, სტამბოლის ჰავა ჩემთვის აუტანელიაო. რიზა-ბეგს, რომელიც გაზეთ „მეშვერეთს“ ჰბეჭდავს, ჯერ გარდაწყვეტილი არა უთქვამს-რა. თუ საქმეს რიგიანის თვალით შევხედავთ, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ამ რამდენისამე ხნის წინად მურად-ბეგსა და რიზა-ბეგს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა, — მოქმედებითა და საზოგადოდ აზრით ერთმანეთში ვერ მოთავსდნენ. მურად-ბეგის ადგილი დაიჭირა ახმედ-ბეგმა რიზა-ბეგის თანხმობით, მურადს იქ თითქმის არაღა ჰქონდა საქმე, ამისათვის მისი მოსვლით ჯერ კიდევ არ ითქმის, ეს საქმე შეჩერდაო. ყოველ შემთხვევაში ახალგაზდა ოსმალთა მეთაურნი არ არიან კმაყოფილნი აქაურ ამხანაგებისა: „ამდენი ხანია ვერსად ერთი თვალ-საჩინო უკმაყოფილება ვერ გამოაცხადესო“.

გუშინ-წინ გაასამართლეს ათი კაცი, რომლებსაც ჰბრალდებოდათ აქა-იქ სტამბოლში დინამიტის აფეთქება თუ განზრახვა ამის ჩადენისა. ორი მათგანი, რომლებსაც ჰბრალდებოდა ბაბუ-ალში (სამინისტრო სუბლინ პორტ) მომხდარი დანაშაული, გაამართლეს, დანარჩენს რვას გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. ზოგი ამათგანი რუსის ქვეშევრდომი აღმოჩნდა. ამბობენ, ორი უნდა ჩამოარჩონ პერაში, ორი გალატაში, ორი ოტომანის ბანკთან და ორიც ბაბუალის მეიდანზედ, სწორედ იმ ადგილებში, სადაც დანაშაული ჩაიდინესო. ყველანი სომხები არიან და სულ ახალგაზდები. აქა-იქ ჩურჩულობენ, ვითომ ბაბუალში მომხდარი საქმე, რომელმაც რამდენიმე კაცი იმსხვერპლა, ოსმალთაგან იყოო. ახალგაზდა ოსმალნი ამ მოსაზრებას იმაზედ ამყარებენ, რომ ის ორი სომეხი, რომლებიც ამ მიზეზით იყვნენ დაჭერილნი, განთავისუფლებულ იქმნენ და სხვა ჯერ არავინ სჩანს დამნაშავე.

დღითი დღე აქ ხშირდება ცეცხლის გაჩენა, ყოველ დღე ორ სამ ალაგას ჩნდება ცეცხლი. ჰგონიათ, რომ ეს სომხების საქმეაო, რადგან პერაში დაიჭირეს ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, რომელსაც ხელში ბოთლი ეჭირა. ეს ბოთლი მან უცებ გააგდო ხელიდგან, ბოთლი გატყდა, შიგ რაღაც სითხე იყო, ის დაიქცა და ცეცხლი მოედო აქაურობას. ამ დროს ყმაწვილი გაიქცა. ამბობენ, ამ სითხით აჩენენ ცეცხლსაო.

საბერძნეთიდგან იუწყებიან ოსმალეთის გაზეთებში, რომ საბერძნეთის მთავრობის ჯარი თავ-თავიანთ სახლში დაუთხოვიათ. მოლაპარაკება მორიგების თაობაზედ ამ დღეებში ისევ უნდა განახლდეს. საბერძნეთი არას გზით არა სთანხმდება ევროპის კონტროლსა და მეთვალყურეობას. „ლევან ტერალი“, აქაურ ფრანგულ ინგლისური გაზეთი, იუწყებოდა გუშინდელის დეპეშით, ვითომ ბერძნებს ეშოვნოთ სახსარი და უნდათ მარილის შემოსავლიდგან გაისტუმრონ პირველ შესატანი ვალი ერთი მილიონი ლირა. ოსმალეთი-კი მანამ არ გამოიყვანს ჯარს თესალიიდგან, სანამ საბერძნეთი სრულიად არ გაისტუმრებს მას და მაშინაც, როგორც ამბობენ აქაურები, მდინარე პენეამდის დაინარჩუნებენ. ის ხმები ტყუილია, ვითომ თევთიკ-ფაშას სადესპანოები დაევალოს და ეთხოვნოს მორიგება დააჩქარეთო. ოსმალები ამისთვის სრულიად არა სწუხან, იმათთვის რამდენიც გაგრძელდება საქმე, იმდენად სასარგებლოა. იმათი ჯარი სრულიად არ აღემატება იმ რიცხვს ასი ათასს, რომელიც ყოველთვის იყო თესალიის ნაპირებზედ. ეხლაც ოსმალეთმა რომ გამოიყვანოს ჯარი თესალიიდგა, ისევ იქვე უნდა შეინახოს. განსხვავება მხოლოდ ადგილის გამოცვლაში იქნება. რაც შეეხება ხარჯს, ისევ იგივე დარჩება. ამისათვის ცხადია, ოსმალეთს, რა-კი ორივე შემთხვევაში ჯარი ერთი და იგივე რიცხვის უნდა ჰყავდეს, ურჩევნია ისევ თესალიაში დარჩეს. აქ სულ რომ არაფერი, ხორბალი და სხვა სანოვაგე უსასყიდლოდა აქვს. ჯერ კიდევ ერთი მეოთხედიც ადგილობრივის მცხოვრებლებისა არ მობრუნებულა უკან თესალიაში და ეს გარემოება ძალიან ხელ-საყრელია ოსმალეთის ჯარისათვის, ისინი არხეინად სცხოვრობენ დაცარიელებულ ოჯახებში, საცა კაი ძალი სურსათია დარჩენილი.

19 აგვისტოს სულთან-ჰამიდის ტახტზედ ასვლის დღესასწაულ დღეს *) ბერძნის ყაჩაღები დაეცნენ თავს ოსმალეთის თესალიაში მყოფ ჯარს, დალისტნელ სეიფულ-ფაშის დივიზიას დომოკოსში, მხოლოდ დიდის ზიანით უკუ ქცეულ იქნენ. „საკვირველია, ჭეშმარიტად, ბერძნების საქციელი. ისეთ საქმეებს სჩადიან, რომ სირცხვილად კმარა. ამ ბოლოს დროსაც ძალიან სირცხვილეულად მოიქცნენ, თავს დაგვესხნენ, ბოლოს თოფები დაყარეს და გაიქცნენო“, დაცინვით წარმოსთქვა თესალიიდან გუშინ მოსულმა ოსმალთა მაიორმა. წინადაც, განაგრძო მან, „ბევრჯელ სუფრაზედ ჯერ კიდევ ცხელ საჭმელს სტოვებდნენ და გარბოდნენო“. მაიორს ძალიან უკვირს, როგორც ეტყობა, რომ ასი ათას ჯარს ოც-და-ათი ათასმა ბერძენმა ვერა უყვეს-რა. მაინცა და მაინც ბერძნები ქების ღირსნი არ არიან, ისინი ისე იქცეოდნენ, როგორც ლეგტორი და ახილესი ტროასში, ხან ქვას სტყორცნიდნენ ერთმანეთს და ხან ჯოხს, მხოლოდ ბერძნები მაინც რომ გმირები არიან, ამას ლაპარაკი არ უნდა. თუ არ გმირები, მაშ რით აიხსნება ეს უკანასკნელი მათი მოქმედება, ასი კაცი დაეცა თავს 50 ათას კაცს. „რა დაგვაკლეს, სულ ოციოდე ნიზამი ძლივს მოგვიკლეს“-ო, ამბობდა მაიორი. თუ მაიორმა „ოციოდე“ სთქვა, უნდა ვიგულისხმოთ „ასიოდე“. ამ უკანასკნელმა შემთხვევამ ცოტა არ იყოს გაამწვავა აქაური მთავრობა, მხოლოდ მაინც მოთმინებას მისცეს თავი, თუმცა დეპეშა დეპეშაზედ მოდიოდა, — „ბერძნებმა ომი განაახლესო“.

ამ რამდენისამე დღის წინად ერთი საკვირველი წერილი ამოვიკითხეთ ბერძენთა გაზეთ „ასტ“-ში. ეს გაზეთი აქ აღკრძალულია, მაგრამ ბერძნებს მაინც მოაქვთ: ვინ გაბედავსო, გაცხარებული ამბობს ავტორი, სთქვას, რომ ვითომ სმოლენსკი (პოლკოვნიკია ბერძენთა) პოლონელი ან რუსი იყოს. იგი არც ერთია, არც მეორეო. ვრცელი ბიოგრაფია მოუყვანია და ამბობს: ის არის ნამდვილი ელინი, ეს გვარი დაერქვა თავისს სოფლიდგანო. იმისს სოფელს ჰქვიან ზმოლა და აქედგან გადმოუკეთებიათ ზმოლენეც, ან სმოლენსკი. ეს სოფელიც თესალიაში ყოფილა. გულმოსასვლელი როგორ არ არის, დასძენს პატრიოტ-შოვინისტი წერილის ავტორი. ერთად ერთი კაცი გვყავს, რომელმაც ფარსალაში ცოტად მაინც გვასახელა და სცდილობენ ისიც წაგვართვან, გადაგვიგვარონო. ასეთები არიან ბერძნები... ისინი ეხლაც არ იტეხენ გულს, ამ საათშიაც მზად არიან შეებნენ ურიცხვს ოსმალოს ჯარს. ბევრს სიბრიყვე ეგონება ეს, მაგრამ ადამიანს სიკვდილისა არ უნდა ეშინოდესო, ამბობენ ისინი.

ბერძნების გარდა, დღეს მთელის ქვეყნის ყურადღებას იპყრობენ კიდევ ჩვენი კეთილი და მოყვარული მეზობლები — სომხები, რომლებიც საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ისინი არიან დედამიწის მხსნელნი. ჩვენ, სომხები, რომ არა ვყოფილიყავითო, მითხრა ერთხელ გამოჩენილმა პედაგოგმა ბ ნმა ს — იანმა, რომელსაც აქ, ოდესმე კუმიკავში პირველ დაწყებითი სასწავლებელი ჰქონდა, — ახლა ქართველების ხსენებაც აღარ იქნებოდა და ვერც ევროპა განათლდებოდა ასეო. ჩვენ, გმირი სომხები, ვაკავებდით ველურ ხალხს, ჩვენ ვუდექით ყოველთვის წინ აზიის ბარბაროსებს. კოშუტი, უნგრეთის გმირი, თურმე სომეხი ყოფილა ბ ნი სპანდა‘იანის პედაგოგიურის გამოკვლევით. ოსმალეთი ხომ ეხლა აღარ იქმნებოდა, რომ გაზაზარტინი და აბრამ არტემ ფაშები არ ყოფილიყვნენო. ვერ გამიგია, ასე ბრიყვები როგორ არიან ქართველები, რომ ჩვენი მნიშვნელობა ვერ გაუგიათ, რას მოასწავებს იმათი ყაყანი, ვითომ რაღაც ეკკლესია დაგვესაკუთრებინოს, განა ღირს სალაპარაკოდ, ან რა საერთო აქვს ქალაქის გამგეობას გვარ ტომობასთან. ჩვენი რაბრალია, თუკი კანონმა ჩვენ გვარგუნა ხმის უმეტესობა, აქ რა ხელი აქვს სომხებსა, ან ქართველებს, აქ ქონებრივს ძალაზედ დამყარებულია ყველაფერიო, ასე დაასრულა თავისი საუბარი ბ ნმა ს — იანმა. კარგი და კეთილი, თუ ასეა, თქვენ რაღად ებღაუჭებით ასე სასტიკად ქალაქის მმართველობასა და წმიდა გიორგის ეკკლესიას-მეთქი, მიუგე მე. ეჰე!.. შემომიძახა პედაგოგმა. არ კმარა ვითომ, რაც ჩვენ ქართველებისთვის ვიშრომეთ ათასის წლობით. გინდოდათ ჩვენი საკუთრებაც თქვენთვის დაგვეტოვებინა?!. რაღა მეთქმოდა ბალი უსტას მეტი?!.

აი კიდევ ახალი ამბავი მკითხველო: გუშინ წინ აქ მოვიდა მისია აბაშეთიდან (ეთიოპია). აბაშეთის მეფეს მენელიკს თავისი ფარი, რომლითაც დაამტვრია ბარატიერსა და იტალიის ჯარს ცხვირ-პირი, სულთანისათვის გამოუგზავნია და ერთიც საუცხოვო სპილო. ამბობენ, ფარი სრულიად ოქროში და ძვირფას თვლებში არის ჩასმულიო. მისია დიდის პატივითა და ამბით მიიღეს და იმ დღესვე ინახულა ხალიფემ.

საშაბათს, 26 აგვისტოს, რუსეთის დესპანი ბ-ნი ნელიდოვი სადილს უმართავს ყველა რუსის ქვეშევრდომს. ეს სადილი იქმნება მისი გამოსათხოვებელი. როგორც ამბობენ, ამ სადილზედ ბევრი საპატიო დიპლომატები იქნებიან მიწვეულნი როგორც ოსმალეთის მხრივ, ისე სხვა ევროპის წარმომადგენელთაგანაც. ნელიდოვის აქედგან წასვლით ბევრს აცივებს და ბევრსაც აცხელებს. მეტადრე-კი საელჩოს არასურს მისი წასვლა, რადგან ასე ჰგონიათ, რომ მასის წასვლით ბევრი ცვლილება მოხდებაო.

იასე რაჭველი

*) ჯერ არავის ახსოვს ასეთი უფერული და უსიცოცხლო დღესასწაული სულთან ამიდის ტახტზედ ასვლისა. ყოველთვის მთელი ქალაქი მაშხალებით გაათასფერდებოდა ხოლმე, მოძრაობა დიდი იყო ხოლმე და სხვა, ამ გზობად-კი ისე ჩუმად და წყნარად ჩაიარა მთელმა დღესასწაულმა, რომ ჯერ არავინ მოსწრებია.

## დამაკვირდი

გული ჩვენი მწუხარებას ადვილად იმარხავს, მაგრამ ბედნიერების დროსკი დუმილი არ მალუძს.

გოეტე

* * *

იგი არ დაგდებს ფასს, რაც შენს გარეშეა; ჯარის-კაცს საჭურველი არა ჰქმნის და ცხენს — უნაგირი.

სილესიუსისა

* * *

უეჭველივე კეთილი სხვისაა, მხოლოდ დრო და ჟამია ჩვენი.

სენეკა

## სასამართლოს მატიანე

—

საქმე აზნ. დ. ი. კეზელისა და გლეხის ალ. მახარაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ აზ. ბარამ შაპურიშვილის მოკვლა და სხვა შაპურიშვილების მოკვლის განზრახვა.

საქმის გარჩევა დაიწყო 4 სექტემბერს, 2 საათზედ. თავმჯდომარეობდა ოლქის სასამართლოს წევრი ბ-ნი ბოგაევსკი, წევრებად იყვნენ ოლქის სასამართლოსავე წევრი ბ ნი პარჩევ-

სკი და მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე კაჩაროვსკი. ბრალმდებლად იყო ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი მოსევიჩი.

როგორც საბრალმდებლო ოქმიდგან სჩანს, შარშან ნოემბერს დუშეთის მაზრის სოფ. საშაბუროში მოკლულ იქმნა აზ. ბარამ შაბურიშვილი. აი მოკლედ ამ საქმის გარემოება: აზ. შაბურიშვილებმა, თავ. ფავლენიშვილებმა, დ. კეზელის მოურავმა მახარაშვილმა და ზოგიერთმა გლეხებმა, რომლებსაც მონაწილეობა ჰქონდათ საშაბუროს მამულში, დაუარეს წვრილ-ფეხა საქონლის პატრონებსა და გამოართვეს საბალახე, რომელიც შემდეგ ერმანეთში უნდა გაეყოთ მონაწილეობის კვალობაზედ. საბალახე აიღეს აგრეთვე მონაწილეების საქონლიდგანაც, რადგან აზნ. შაბურიშვილებისა და თ. ფავლენიშვილების სიტყვით ყველა მონაწილენი მორიგებულები იყვნენ, რომ მონაწილე აზნაურებისაგანაც საბალახე აეღოთ. ამ გარემოებას იმითი ასაბუთებდნენ, რომ ზოგიერთს მონაწილეს საქონელი ბევრი ჰყავს და ჰკვებავს საერთო მამულში, ხოლო ნაწილი-კი მცირეო, ზოგიერთს კი ნაწილი მეტი აქვს და საქონელი ცოტა ჰყავსო. აი, ამ უთანასწორობის მოსასპობლად იყო დაწესებული, რომ ყველა მონაწილესაგან საბალახე აეღოთ და მერე მონაწილეობის დაგვარად ერთმანეთში გაეყოთ. ამ მორიგებას ბ-ნი დ. კეზელი უარსა ჰყოფდა. როდესაც საბალახის ღორები მოუკრებიათ, აუღიათ, სხვათა შორის, კეზელისაგანაც და შეურეკნიათ მიქელა მოლოდინის გომურში, ხოლო საბალახოს ამკრებლები თითონ სოფ. საკრამულში წასულან საბალახოსავე მოსაკრებად. კეზელის ბიჭებს არ მოსვლიათ ჭკუაში იმათის ბატონისაგან საბალახეს აღება, წასულან მიქელა მოლოდინთან და უთხოვნიათ, ღორები გამოუშვითო, მაგრამ როცა პასუხად უარი მიუღიათ, კეზელის ბიჭებს გომურის კარები ძალათი დაუმტვრევიათ და ღორები გამოუშვიათ. როცა საბალახოს მომკრებლები დაბრუნებულან და ეს შეუტყვიათ, წასულან კეზელთან ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად და რადგანაც გზაში შეხვედრიან კეზელის ღორის ფარასა და იქ საბალახოს ღორები უცვნიათ, გამოურჩევიათ ეს ღორები, გაურეკნიათ დათიკო შაბურიშვილისას, იქ დაუხოციათ, ვახშამი უჭამიათ და შემდეგ საშაბუროდგან სოფ. ბაგაში წასულან, ასე 10—12 კაცამდე, თან წაუღიათ დაკლულ ღორების ხორცი, რომელიც გაუყვიათ. ხორცი ზოგს ტომარაში ჰქონია ჩალაგებული და ზოგს-კი ჯოხზედ გადაკიდებული და მხარზედ გადებული, გზად დ. კეზელის საბძელთან უნდა გაევლოთ თურმე. როცა საბძელს მიუახლოვდნენ, შაბურიშვილების თქმით, იქიდგან გამოუცვივდნენ კეზელი და მისი ბიჭები და დაახალეს თოფები, შეშინებულმა შაბურიშვილებმა ხორცი იქვე დაჰყარეს, ხოლო თითონ-კი გაიქცნენ აქეთ-იქით. მოკლული ბარამი თავის 13—14 წლის შვილით და დავით ლევანის ძე შაბურიშვილი ხევისკენ გაიქცნენ თურმე. უკან გამოუდგნენ დავით კეზელი, მახარაშვილი თოფების სროლით და ოგაძე კეტით. ბარამი ჩავიდა ხევში; ვინც მისდევდნენ, ისინი ბექზედ გადადგნენ და იქიდგან თოფები კიდევ ესროლეს. გაქცეული შაბურიშვილები შეიკრიბნენ ფავლენიანთ სახლის ახლო და ჰნახეს, რომ მარტო აბრამი და იმისი შვილი კოტე აკლდათ, ბოლოს კოტეც მივიდა იმავე ალაგას, ნაცემი, თავპირ დასისხლიანებული, და უთხრა იქ მყოფთ, მამა ჩემი კეზელიაანთ მოჰკლესო; მართლაც, ბარამ შაბურიშვილი თოფით მოკლული იპოვეს ხევში, სადაც ბარამის შვილისა და დავით ლევანის ძის შაბურიშვილის სიტყვით, დავით კეზელმა და მახარაშვილმა გაქცეულს შაბურიშვილებს უკანასკნელად ესროლეს თოფები. ბ-ნი დავით კეზელი-კი საქმის გარემოებას სხვა ნაირად მოგვითხრობს: შაბურიშვილებმა და ფავლენიშვილებმა გადასწყვიტეს ჩემის სახლის აკლება და ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად შეიარაღებულები დაეცნენ ჩემს სახლსა და დაუწყეს თოფის სროლაო. მაშინ მეც იძულებული ვიყავი ჩემდა დასაცველად პასუხი გამეცა შაბურიშვილებისთვის. აი, ამ დროს ატეხილს თოფის სროლაში იყო მოკლული ბარამ შაბურიშვილი და არ ვიცი ვინ მოჰკლა, მე თითონ თოფი ხელში არ ამიღია და არც მისროლია ვისთვისმეო *).

ბრალდებულთა სკამზედ ჰზის დავით ივანეს ძე კეზელი, 40—42 წლისა, მაღალი და წარმოსადეგი, ჭაღარაშერეული კაცი. იგი გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ბრალმდებლის ყოველს მოძრაობას და მოწმეებისა და მოსამართლეების ყოველს სიტყვას. სრულიად წინააღმდეგს წარმოადგენს მეორე ბრალდებული, ალექსანდრე მახარაშვილი, 20—21 წლის გლეხ-კაცი. ვგონებ სრულებით არ ეტყობა, რომ იგი დამნაშავე და საზოგადოების მავნე წევრი იყოს; მეტადრე მაშინ, როდესაც იგი თავისის ჯერ კიდევ ბავშვსავით უმანკო და უდარდელის სახით თვალს გადაავლებს ხოლმე სასამართლოს დარბაზში მყოფთ და თითქოს ჰკითხულობს, ნეტა აქ რად მომიყვანეთ, მე ხომ ერთგული და კარგი მოსამსახურე ვიყავი ჩემის ბატონისა და სხვა არაფერი დამიშავებიაო. კეზელს იცავს ვექილი ი. ჯაბადარი, ხოლო მახარაშვილს —ტურკევიჩი.

როდესაც თავმჯდომარე დაეკითხა, ორივე ბრალდებულმა თავიანთი თავი დამნაშავედ არ აღიარეს. დაიწყო მოწმეთაგან ჩვენების ჩამორთმევა.

მოწმე ჭონქაძე, პოლიციის ბოქაული: შარშან შემოდგომაზედ, როდესაც მე სამსახურის გამო სოფელს ხორხში ვიყავი, შემატყობინეს, რომ საშაბუროში მოჰკლეს აზ. ბარამ შაბურიშვილიო. დუშეთში რომ მოვედი, მაზრის უფროსმა გადმომცა დავით კეზელის არზა, რომლითაც ისა თხოულობდა დაცვას შაბურიანთა და ფავლენიანთ თავს დასხმისაგან. მე წაველი საშაბუროში და იქ ვნახე ხევში თოფით მოკლული ბარამ შაბურიშვილი, რომლისთვისაც ნ. კობიაშვილს, ამ საქმის გამოსაკვლევად გაგზავნილს, დარაჯები დაეყენებინა. მოკლულის მახლობლად სამი ცალიერი „პატრონა“ ვიპოვე ბერდანის თოფისა და ამის შესახებ შედგენილ ოქმთან ერთად გადავეცი გამომძიებელს.

*) უფრო დაწვრილებით საბრალმდებლო ოქმი იხილეთ „ივერია“ № 183.

თავმჯდომარე „პატრონას ხომ არ შეატყე, რომ ახლად იყო დაცლილი.

მოწმე. ვერა შევატყე რა.

ბრალმდებელი. ნახეთ თუ არა კეზელი იმ დროს, გამოჰკითხეთ საქმის გარემოება და რა გითხრათ?

მოწმე. ვნახე, იმან ასე სთქვა, შაბურიშვილები და ფავლენიშვილები დაეცნენ ჩემს სახლსა და იქნება ამის გამო ატეხილს თოფის სროლაში მოჰკლეს შაბურიშვილიო.

ბრალმდებელი. ხომ არ უთქვამს კეზელს, თოფის სროლა ორივე მხრიდან იყოო?

მოწმე. არა, კეზელმა ისა სთქვა, თოფებს მარტო შაბურიაანი ისროდნენ. ჩვენ თოფი არ გვისროლიაო.

ბრალმდებელი. კეზელის სახლი და საბძელი ჰნახეთ?

მოწმე. როგორ არა, ვნახე.

ბრალმდებელი. შეამჩნიე სადმე ტყვიის მოხვედრის ნიშანი?

მოწმე. ვერსად ვერ შევნიშნე.

ბრალმდებელი. იმ ადგილიდგან, საიდგანაც, კეზელის სიტყვით, შაბურიანთ და ფავლენიანთ ვითომ თოფი ესროლათ, შეიძლებოდა თუ არა რომ ტყვია სახლს, ან საბძელს მოხვედროდა?

მოწმე. შეიძლებოდა მოხვედროდა საბძელს და გომურს.

ბრალმდებელი. მერე ხომ უნდა დასტყობიყო?

მოწმე. დაეტყობოდა, მეტადრე გომურის კედლბს.

დ. კეზელი. საბძელი წნულია, ნაბჯით დახურული და იმას არაფერი არ დაეტყობოდა.

ბრალმდებელი. (მოწმეს) გომურის კედლებს ეტყობოდა თუ არა?

მოწმე. ვერაფერი შევნიშნე.

ვექილი ჯაბადარი. მოკლულის გვამს თავი, ან ფეხები საითკენ ჰქონდა?

მოწმე. ფეხები კეზელის საბძლისაკენა ჰქონდა.

თავმჯდომარე. ბარამის ქვრივსა და ობოლს იცნობთ თუ არა? ღარიბები არიან, თუ აქვთ რამე შეძლება?

მოწმე. ვიცნობ, როგორ არა, ძალიან ღარიბები არიან, არაფერი შეძლება არა აქვთ, სულ 2—3 დღიური მიწა აქვთ. ამას წინად შევადგინე იმათის ქონების სია, რომ მზრუნველისათვის ჩამებარებინა, და დავრწმუნდი, რომ ძალიან ღარიბები ყოფილან.

თავმჯდ. რა ხელობისა იყო განსვენებული, ან რამდენს შეიტანდა სახლში თავისის შრომით.

მოწმე. მხვნელ მთესველი იყო, ასე 200—300 მანეთს შეიძენდა თავის შრომით და ამით აცხოვრებდა ცოლშვილს.

მოწმე კონსტანტინე ბარამისძე შაბურიშვილი, (შვილი მოკლულისა). როდესაც საბალახოს ღორები დავხოცეთ და ხორცი გავიყავით, დავ. ნიკ. შაბურიშვილისას, იქიდგან ღამე წამოვედით ესე ათ კაცამდე სოფელს ბაგაში, სადაცა ვცხოვრობთ. თან წავიღეთ ხორცი, ვისაც რამდენი შეგვხდა. გზაზედ, როდესაც მივუახლოვდით კეზელის საბძელს, უცებ გამოგვიცვივდნენ კეზელი, მახარაშვილი, ოგაძე და სხვა ბიჭები კეზელისა, რომლებიც საბძელთან ყოფილიყვნენ ჩასაფრებულები და თოფები გვესროლეს, ჩვენ შეგვეშინდა, ზოგნი აქეთ გავიქეცით, ზოგნი იქითკენ. მე, მამაჩემი და დავით ლევანის ძე შაბურიშვილი ქვევითკენ გავიქეცით. ჯერ მინდორზედ ვირბინეთ, მერე გადავედით ხევში, იქ მოარტყეს თოფი მამა ჩემს და მოჰკლეს.

თავმჯდ. ვინ მოარტყა მამაშენს თოფი?

მოწამე: მე ძალიან შეშინებული ვიყავი და ამის გამო ვერ დავინახე და ვერც შემიძლიან ვთქვა, ვისის თოფის ტყვია მოხვდა. გონებაზედ რომ მოვედი, მარტო მაშინ დავინახე მკვდარი მამაჩემი.

თავმჯდ. შენ ვიღა გაგარტყა და გაგიტეხა ყბა?

მოწმე: არც ეს ვიცი.

თავმჯდ. წინად გითქვამს გამომძიებლისათვის, კეზელმა გამიტეხა ყბაო, მერე-კი ის გითქვამს, არ ვიციო და ეხლაც, იმასვე ამბობ. რომელია მართალი?

მოწმე. შიშისგან ისე ვიყავი გადარეული და გზა-კვალ დაბნეული, რომ არ ვიცოდი რას ვამბობდი. ჩვენ სულ სამი კაცი მოგვდევდა: კეზელი, მახარაშვილი და ოგაძე, ორნი პირველნი თოფითა და ოგაძე კეტით. ამ ორს გარდა თოფი სხვას არავისა ჰქონდა.

ვექილი ჯაბადარი: საბალახოს მოკრებისას რას იტყვით?

მოწმე. მეც დავესწარი მოკრებას. საბალახოს ღორები მოლოდინის გომურში იყო დამწყვდეული. მ სულიყვნენ კეზელის ბიჭები, გომურის კარი გაეტეხათ და ღორები გამოეშვათ.

ვექ. ჯაბადარი. მეორედ რომ მორეკეს წართმეული ექვსი თუ შვიდი ღორი, ეგ იცი შენა?

მოწამე: ვიცი.

ვექილი ჯაბადარი: იარაღი ჰქონდა ვისმე შაბურიანთაგანს ამ დროს.

მოწამე: არა, იარაღი არავისა ჰქონია.

ვექილი ტურკევიჩი: საზოგადოდ გაქვთ ვისმე რაიმე იარაღი შაბურიშვილებს.

მოწამე: არა, არავისა გვაქვს.

ვექილი ტურკევიჩი: მაშ ღორები რით დახოცეთ დათიკო შაბურიშვილისას.

მოწამე: დანებით.

ბრალმდებელი: როდესაც საშაბუროდგან ბაგაში წახვედით და ხორცი წაიღეთ, მწკრივად მიდიოდით თუ ჯგუფად.

მოწამე: არ მახსოვს, მგონია ჯგუფად მივდიოდით.

ვექილი ჯაბადარი: ვინ მიდიოდა წინ, ან ვინ უკან?

მოწამე: არ მახსოვს მაგას ვერ გავიხსენებ.

ბრალმდებელი: როცა საბძელს მიუახლოვდით და თოფები გესროლეს, ძალიან ახლო იყავით, თუ მოშორებით?

მოწამე: ძალიან ახლო ვიყავით.

თავმჯდ. დაახლოვებით რამდენს ნაბიჯზედ იქმნებოდით?

მოწამე: რავიცი, ასე ოთხი-ხუთი ნაბიჯი გამოვიდოდა.

ბრალმდებელი: რამდენი თოფი გავარდა?

მოწამე: არ ვიცი. მე ასე მომეჩვენა, რომ ბევრი იყო.

ბრალმდებელი: შენის ვარაუდით, დაახლოვებით რამდენი იქმნებოდა?

მოწმე.. ათიც იქმნებოდა.

ბრალმდებელი: შენ ამბობ ოთხ ხუთ ნაბიჯზედ ვიყავით, როცა თოფები გვესროლესო, ხომ არავის მოხვდა?

მოწმე: არა.

ბრალმდებელი. მაგ მანძილზედ რომ ესროლათ, ხომ შეუძლებელია აეცდინათ. თუ კი მოინდომებდნენ, ვისაც დაუმიზნებდნენ, ხომ მოარტყავდნენ. იქნება ისე ისროლეს თოფი და თქვენთქვის-კი არ უსროლიათ.

მოწმე. არა, ჩვენ გვესროლეს. არ ვიცი, როგორ ვერ მოგვარტყეს.

ბრალმდებელი: როცა შენა, მამაშენი დ̃ დავითი გაიქეცით და გამოგიდგნენ, გესროდნენთ თუ არა თოფებს?

მოწმე: გვესროდნენ.

ბრალმდებელი: რამდენჯერ გესროლეს?

მოწმე: ბევრჯელ.

ბრალმდებელი: მაინც რამდენჯერ.

მოწამე: იქნება ათჯერაც. აბა შეშინებულს როგორ უნდა დამეთვალა დ̃ დამეხსომებინა.

ბრალმდებელი: ბნელი ღამე იყო თუ ნათელი.

მოწამე: არ იყო ბნელი ღამე.

ბრალმდებელი: იცანი ყველანი და დაუნახე იმ ორს თოფები ხელში?

მოწამე: ვიცანი და თოფებიც დავუნახე.

მოწამე დავით ლევანის ძე შაბურიშვილი. მე იმ დღეს ქალაქიდგან მოვედი, მითხრეს საბალახე გავიყოთო. წავედით დათიკო შაბურიშვილისას, გავიყავით და ვახშმის შემდეგ ბაგასკენ წავედით, თან წავიღეთ საბალახოში მოკრებილ ღორების ხორცი, ზოგს ტომარაში ჰქონა ხორცი ჩაწყობილი და ზურგზედ წამოკიდებული, ზოგს მხრებზედ ჰქონდა ჯოხები გადებული და ზედ ხორცი გადაკიდებული. ბარამსა და იმის შვილს კოტეს მხრებზედ ჰქონდა ჯოხი გადებული, ერთი წინ მიდიოდა, მეორე უკან, ჯოხის ერთი წვერი ერთს ედო მხარზედ, მორე წვერი მეორესა. კეზელის საბძელთან რომ მოვედით, უცებ თოფები გვესროლეს კეზელმა და იმისმა ბიჭებმა, რომლებიც საბძელთანა ყოფილიყვნენ ჩასაფრებულები და ჩვენ გველოდნენ თურმე, რადგან ჩვენ საშაბუროდგან ბაგას ამ გზით უნდა გაგვევლო. შეშინებულები აქეთ იქით გავიქეცით, ზოგი ზევით გაიქცა, ზოგი უკან დაბრუნდა; მე და ბარამ შაბურიშვილი, რომელიც მოჰკლეს, ქვევით ხევისკენ გავიქეცით, უკან გამოგვიდგნენ თოფების სროლით დავით კეზელი და სანდრო მახარაშვილი, აგრეთვე ოგაძე კეტით, ბარამს თან მოჰყავდა თავისი შვილი კოტე, 13—14 წლისა, რომელიც ძალიან შეშინებული იყო, ვერ მორბოდა და ბარამი ხელით მიათრევდა, თან ემუდარებოდა, ამ შვილს მაინც ნუ მომიკლავთო. მე თავისუფლად მოვრბოდი დ̃ ბარამსა დ̃ იმისს შვილს წინ გავასწარი, ხევში ჩავირბინე, იქ ერთის ხის ქვეშ წავწექი დ̃ დავიმალე. ბარამი შვიდი-რვა ნაბიჯით ჩემზედ ზევით ჩამოვიდა იმავე ხევში თავისს შვილს მოათრევდა თითქმის ხელ-და-ხელ და ჩოხის კალთას აფარებდა. მდევრები ხევის ბექზედ გადადგნენ და ორი თოფი იქაც გაისროლეს, ბარამი მაშინვე წაიქცა. რომლის თოფის ტყვია მოხვდა ბარამსა, ან რომელმა და როგორ გაუტეხა

ყბა პატარა კოტესა არ შემიძლიან დაბეჯითებითა ვთქვა, რადგანაც ღამის სიბნელისა და შიშის გამო მეც გონება დაბნეული ვიყავი. როცა კეზელი და მახარაშვილი გაბრუნდნენ და ჩემს გარშემო ხმა მისწყდა, წამოვდექი და ფავლენიანთ სახლისკენ წაველი, თან ვცდილობდი არავის დავენახე. აქ სახლთან მოგროვილიყვნენ სხვა გაქცეულებიც, ბოლოს ბარამი და კოტეღა გვაკლდნენ. არ ვიცოდი, რა დაემართა ბარამს, ან კოტეს: ამ დროს თავ-პირდამტვრეულმა და დასისხლიანებულმა კოტემ მოირბინა ტირილით და გვითხრა, მამაჩემი მოჰკლეს კეზელიაანთაო; ამ დროს მამასახლისიც მოვიდა, დაუწყო ბარამს ძებნა და მოკლული იპოვა ხევში.

ბრალმდებელი: როცა საბძელს მიუახლოვდით და თოფები გესროლეს, დაახლოვებით რა მანძილზედ იქნებოდით?

მოწამე: ასე ოთხ ხუთს ნაბიჯზედ.

ბრალმდებელი: ყველანი, თუ ზოგიერთები უკან ჩამორჩენილები მოდიოდნენ.

მოწამე: ყველანი.

ბრალმდებელი: თუ კი აგრე ახლო იყავით, რატომ თოფი არავის მოგარტყეს, ხომ შეუძლებელია ეგრე ახლო მანძილზე ნასროლ თოფის აცდენა.

მოწმე. ტყვიებმა თავზე გადაგვიარა.

ბრალმდებელი. ბარამი და იმისი შვილი კოტე შენთან ახლო მოდიოდნენ, თუ შორს, როდესაც თოფები გესროლეს?

მოწმე. არ მახსოვს, მგონი წინ იყვნენ.

ბრალმდებელი. იარაღი ხომ არავისა ჰქონდა თქვენგანს იმ დროს?

მოწმე. არა.

ბრალმდებელი. კეზელი და მახარაშვილი კარგად იცანი?

მოწმე. ძალიან კარგად.

ვექილი ტურკევიჩი. განა შეიძლებოდა ბნელს ღამეში გეცნოთ?

მოწმე. არ იყო ისეთი ბნელი ღამე, რომ ერთმანეთი ვერ გვეცნო.

ვექილი ჯაბადარი: იქნება მთვარიანი ღამე იყო?

მოწმე: არა, მოწმენდილი, ვარსკვლავებიანი ღამე იყო, ნათელი.

ბრალმდებელი: კეზელსა და მახარაშვილს წინადაც იცნობდი, თუ მაშინ პირველი ნახვა იყო?

მოწმე: არა, წინადაც ვიცნობდი.

ვექილი ჯაბადარი: იქნება ისე გარეგანად გეგონა კეზელი და ნამდვილად-კი ვერ იცანი.

მოწმე: არა, ხმაზედაც ვიცანი.

თავმჯდომარე: როცა მოგდევდნენ იქვე საბძელთან დაილაპარაკა, ან დაიძახა ვინმე რამე?

მოწმე: როგორ არა, კეზელმა რამდენჯერმე დაიძახა: „დახოცეთ, მე ვზღავო და სხვებმაც ყიჟინა ასტეხეს.

თუმცა ახლო ვიყავით საბძელთან, მაგრამ თოფები ვერ მოგვარტყეს, რადგან ჩასაფრებულები იყვნენ საბძლის მეორე მხარეზედ, საბძლის კუთხეს უკან.

ბრალდებული დაჯ. კეზელი. მოწმენი შაბურიშვილები ამბობენ, კეზელი კარგად ვიცანითო. ეს სრულიად სიმართლეს მოკლებულია და იმის წინაალმდეგ მე პროტესტს ვაცხადებ, არც ერთს შაბურიშვილს, დავით ნიკოლოოზის ძის გარდა, მე არ ვიცნობდი, არც ვინმე მათგანი მე მიცნობდა, რადგანაც მე იმათთან არავითარი საქმე არა მქონია.

თავმჯ. შეიძლება თქვენ არ იცნობდით და ესენი-კი გიცნობდნენ. ამისი მაგალითი ბევრია.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და დიდნი მთავრინანი, ოლღა ნიკოლოოზის ასული და ტატიანა ნიკოლოოზის ასული და დიდნი მთავრინანი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე 6 სექტემბერს წაბრძანდნენ ბელოვეჟიდგან.

**ირკუტსკი.** „ვოსტ. ობოზრ.“ სწერს: „ენისეის ისპრავნიკმა სტოიანოვმა შეატყობინა ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორს, რომ 2 სექტემბერს, ღამის 11 საათზედ, მთვარიან ღამეს, სოფელ ანციფეროვიდგან, ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ხუთის წუთის განმავლობაში მოჩანდა ჰაეროსტატი.

**ხაბაროვსკი.** 31 აგვისტოს, ხაბაროვსკიდგან 63 ვერსის მანძილზედ „დუხოვსკაიას“ სადგურზედ, გენერალ-გუბერნატორის დასწრებით, რკინის გზის მთავარ ლიანდაგს შეუერთეს უსურიის ლიანდაგი. დღეს ხაბაროვსკში პირველ მოვიდა მატარებელი ვლადივოსტოკიდგან.

**ტაშკენტი.** 5 სექტემბერს კვლავ იძრა მიწა საღამოს $10^1/_4$ საათზედ და ისივე ძლიერი იყო, როგორც პირველად, მხოლოდ იმდენ ხანს არ გასტანა. მიწის ძვრა იყო მთელს თურქისტანში და აგრედვე კაზალინსკსა და პეტროალექსანდროვსკაში; უფრო ძლიერად იძრა მიწა ტაშკენტსა, სამარყანდსა და ურატუბეში. სამარყანდში ძლიერ დააზიანა ზოგიერთი უძველესი შენობანი; სხვათაშორის დაინგრა ბიბი-ხანუმის მედრესეს მარმარილოს სადღესასწაულო კარი ბჭე.

**პონჯარა.** გენერალ ჯეფრისის რაზმმა დიდის ბრძოლის შემდეგ მაჰმანდებთან, უკან დაიწია ბანაკისაკენ, მოკლულ იქმნა 9 ინგლისელი აფიცერი და მოკლული და დაჭრილია 129 ჯარის-კაცი. თვით ჯეფრისი სუბუქად არის დაჭრილი.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთმა, ცხადია, იმიტომ დააჩქარა ზავის შეკვრა, რომ ჯარის შენახვა უძნელდება და გარდა ამისა ჯარის სასანიტარო მდგომარეობა მეტად ცუდია.

**კონსტანტინეპოლი.** 6 სექტემბერი. დღეს მოაწერეს ხელი ოსმალეთისა და საბერძნეთის შორის ზავის ხელშეკრულობას.

8 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და დიდნი მთავრინანი ოლღა ნიკოლოოზის ასული და ტატიანა ნიკოლოოზის ასული, აგრეთვე დიდნი მთავარნი კლადიმირ ალექსანდრეს ძე, მიხეილ ნიკოლოოზის ძე და ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე 7 სექტემბერს ბობრძანდნენ სპალუს.

7 სექტემბერს მოვიდნენ პეტერბურგში აბაშეთის საელჩოს უფროსი რუსი მოგზაური ლეონტიევი, ეხლანდელი გრაფი აბაშეთისა და გენერალ-გუბერნატორი აბაშეთის ეკვატორიალ პროვინციებისა და მდივანი ნეგუსისა ატტო იოსები.

**ბუდაპეშტი.** გაზეთები დიდის აღტაცებით იხსენიებენ გერმანიის იმპერატორის მოსვლას, როგორც იმპერატორის ერთგული მეგობრისა და მოკავშირესი და იმედი აქვთ, რომ იმპერატორის მოსვლას ძლიერ დიდი მნიშვნელობა ექმნება და კვლავ განამტკიცებს სამთა-კავშირს.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთისა და საბერძნეთის შორის ზავის პირობის მეორე მუხლში სწერია: „საბერძნეთმა გადიხადოს ოსმალეთის სასარგებლოდ 4 მილიონი. დიდ სახელმწიფოთა თანხმობით, ამ ფულის გარდასახდელად მიღებულ იქმნება ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც ხელს არ შეუშლიან საბერძნეთის მთავრობას შეასრულოს თვისი მოვალეობა და დააკმაყოფილოს უწინდელი მოვალენი და საბერძნეთის სახელმწიფოს ობლიგაციების პატრონები. ამისათვის ათინაში დაარსდება საერთაშორისო კომისია, შემდგარი დიდ-სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. საბერძნეთის მთავრობა ზრუნავს დამტკიცებულ იქმნას წეს-რიგი, რომლითაც იმოქმედებს ზემოხსენებული კომისია და მხედველობას იქონიებს საბერძნეთის შემოსავალ-გასავალზედ. მეექვსე მუხლში სწერია: „ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის სამუდამო ზავი დამყარდება ერთის თვის შემდეგ, დიდნი სახელმწიფონი რომ აღიარებენ, პირობის ორთავე მუხლი შესრულებულიაო და ამასთანავე გამოცხადდება ვადა, რომელზედაც საბერძნეთი გამოსცემს სახელმწიფო ობლიგაციებს სამხედრო საზღაურისას გარდასახდელ სესხისათვის ზემოხსენებულ ორის მუხლის თანხმად. იმის წეს-რიგსა, თუ როგორ უნდა კვლავ დამკვიდრნენ საბერძნეთის მოხელენი დაპყრობილ ადგილებში, ორთავ სახელმწიფოს წარმომადგენელნი დაადგენენ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების დახმარებით.

უმთავრესი დადგენილება ამ ხელშეკრულობისა მოთავსებულია მეორე და მეექვსე მუხლში, რომელთა უკანასკნელი რედაქცია ჯერ შემუშავებული არ არის. პირველ მუხლში მოთავსებულია ზოგიერთი ცვლილებანი საბერძნეთის საზღვრისა ოსმალეთის სასარგებლოდ. მესამე მუხლში სწერია, რომ ის უპირატესობა და უფლება, რომელიც ჰქონდათ ომის დაწყებამდე ოსმალეთში საბერძნეთის ქვეშევრდომებს, ამიერიდგანაც ექმნებათ, მაგრამ ამასთანავე ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის უნდა შეიკრას პირობა, რომელიც უზრუნველად ჰყოფს მართლმსაჯულების მოქმედებას და აგრედვე ოსმალეთისა და სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომების ინტერესებს. მეოთხე მუხლში სწერია: ამ ხელშეკრულობის დამტკიცების შემდეგ ორს კვირაზედ, ანუ უფრო ადრეც, უნდა მოვიდნენ კონსტანტინეპოლში საბერძნეთის რწმუნებულნი, რათა ოსმალეთის რწმუნებულებთან ერთად შეჰკრან უკანასკნელად ზავი ზემოხსენებულ პირობათა მიხედვით; სხვა დადგენილებათა გარდა, ზავის პირობას უნდა მიემატოს დადგენილებანი შესახებ ტყვეთა განთავისუფლებისა, საზოგადო ამნისტიისა და ომიანობის გამო ზარალის გადახდისა. მეხუთე მუხლში სწერია: იმავე დროს უნდა შეუდგნენ მოლაპარაკებას შესახებ ორთავე სახელმწიფოს ქვეშევრდომობისა, აგრედვე გამორკვეული უნდა იყოს ურთი-ერთი დამოკიდებულება ორთავე სახელმწიფოს საელჩოებისა და ოსმალეთის საადმინისტრაციო და სამოსამართლო მოხელეთა უფლებანი შესახებ ბოროტმოქმედთა, რომელნიც ერთის სახელმწიფოდგან მეორეში გაქცეულან ან ავაზაკობა რამ ჩაუდენიათ. მეშვიდე მუხლი შეეხება ოსმალეთისა და საბერძნეთის შორის ჩვეულებრივ დამოკიდებულების განახლებას; ეს მუხლი ეხება ორთავე სახელმწიფოს ქვეშევრდომთა მოგზაურობასა და ნავოსნობის თავისუფლებას; მუხლი მერვე ამბობს, რომ ვიდრე ორსავე სახელმწიფოში ელჩებს დააყენებენ, მათი თანამდებობა უნდა აასრულონ დროებით დანიშნულმა აგენტებმა, რომელთა მოქმედებას დიდნი სახელმწიფონი ადევნებენ თვალ-ყურს. მერვე მუხლში ნათქვამია სასამართლოს საქმეთა წარმოება. მეცხრე მუხლში სწერია, რომ თუ ვინიცობაა მოლაპარაკების დროს ოსმალეთსა და საბერძნეთის შორის უთანხმოება რამ მოხდა, ყოველივე ეს უნდა გადასწყვიტოს მედიატორეთა სამართალმა. მედიატორეებად არჩეულ იქმნებიან დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და გარდაწყვეტილება მათი სავალდებულო უნდა იყვეს ორსავე სახელმწიფოსთვის.

9 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** „კანონთა კრებულში“ საჯაროდ გამოცხადებულია სრულიად რუსეთის ცეხლის მქრობელ მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წესდება; საზოგადოებას სახელად „მტრედის ფერი ჯვარი“ ეწოდება.

**კრასნოიარსკი:** ენისეის „ისპრავნიკი“ დეპეშით იუწყება: 2 სექტემბერს, ღამის 11 საათზედ, ადმინისტრატიულის წესით გაგზავნილი გეპელი ადგილობრივ მკვიდრ კეჩევთან ერთან ერთად სრფ. ანციფეროვკაში დასეირნობდა; ამ დროს ჩრდილო-დასავლეთით ჰაეროსტატი დაინახა, რომელიც კარგა დიდის ვაშლის ტოლა მოჩანდა; ჰაეროსტატი 5 წამს მოსჩანდა, მერე ღრუბელს მიეფარა; შემდეგ ორის წამით კვალად გამოჩნდა ჰაეროსტატი და ჰორიზონცს მიეფარა. იგი ამ ხნის განმავლობაში გაელვარებული იყო; ჰაეროსტატის სინათლე ღრუბლის ორთქლში იშლებოდა, ბჭყვრალებდა და ერთ ხანად თითქმის ყველაფერი იცვალა, — უფრო-კი წითლად და მწვანედ. გეპელს 1895 წელს ლიუბლინის გუბერნიაში ახალის ალექსანდრიის ინსტიტუტის პროფესსორის კოლომიიცევის ჰაეროსტატიც უნახავს. გეპელი ამტკიცებს, რომ 2 სექტემბერს ნანახი ჰაეროსტატი ანდრესია.

**გამმერფესტი.** თევზის დამჭერ ხომალდის „ალკენის“ მიერ მოკლულ ფოსტის მტრედის მოტანილი დეპეშა აი, რას იწერება ანდრეს შესახებ: „13 ივლისს, ნაშუადღევის 12 საათ. და 30 წამზედ, 82°2 სიგანისა, 15°5 აღმოსავ. სიგრძ. მშვიდობიანად მივდივართ; ჰაეროსტატი მე-10° მიდის აღმოსავლეთისკენ· ყველანი ჯან-საღად ვართ“. ეს მესამე მტრედია.

**ბუხარესტი.** ბრაილოვსა. გალაცსა და როტტერდამს შუა სავაჭრო გემებმა გუშინ იწყეს სიარული.

**პარიზი.** დეპეშა იუწყება, რომ სამორის ჯარები უცბად 20 აგვისტოს ლობის ოლქს თავს დაესხმიან; ჯარები სპილოს ნაპირიდგან მმსულან. დაწვრილებითს არას იტყობინებიან.

**პანდორა.** გენერალი ჯეფრეისი შაბათს კვლავ თავს დაესხა მტერსა და უკან დასწია. როდესაც ჯარებმა სიმაგრე დაანგრიეს და უკან დაიწიეს, მტერი კვლავ გამოჩნდა, ინგლისელებმა ორი კაცი დაჰკარგეს და 6 დაეჭრათ.

**კონსტანტინეპოლი.** ოფიციალურად გამოცხადებულ იქმნა მშვიდობიანად მორიგების პირველდაწყებითი პირობანი და აგრეთვე ისიც, რომ დღეიდგან ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის საომარი მდგომარეობა მოსპობილია. დიდმა ვეზირმა ეს გარემოება სამხედრო სამინისტროს ყველა დეპარტამენტებსა და ჯარის უფროსებს შეატყობინა. სახელმწიფოთა უმეტესმა ნაწილმა სულთანს მილოცვა გაუგზავნა. ოსმალეთის გაზეთები ამბობენ, რომ ზავის შეკვრა სულთანის გამარჯვებააო.

ეკკლესიებში სომეხთა პატრიარქის ეპისტოლე წაიკითხეს, რომლითაც იგი ურჩევს სულთანის ერთგულნი იყვნენ.

**გასწორება:** კონსტანტინეპოლიდგან გამოგზავნილს გუშინდელს დეპეშაში მე-6 მუხლი სწორედ არ არის დაბეჭდილი. ეს მუხლი ამბობს: „ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის საომარი მდგომარეობა მაშინვე მოისპობა, როგორც-კი ზავის პირობებს ხელს მოაწერენ. თესალიიდგან ჯარებს ერთის თვის შემდეგ გაიყვანს ოსმალეთი, როდესაც სახელმწიფონი სცნობენ, რომ მე-2 მუხლში აღნიშნული პირობები შესრულებულია და ვადა ექმნება დადნბული, როდის გამოიცემა საბერძნეთის სესხი სამხედრო საზღაურის გადასახდელად, რაიცა საერთაშორისე კომისიისაგან არის დამოკიდებული. ჯარებს თესალიიდგან ორთავ მხარის დელეგატები თანადასწრებით გაიყვანენ და ასრევე მოჰკიდებზნ ქვეყნის მმართვაი ხელს ბერძნები; ამ საქმეში სახელმწიფოთა წარმომადგენელნი დაეხმარებიან.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ქ-ნ მარიამ ლუარსაბის ასულს კიკნაძეს, რომელმაც ითავა და ყარსის საზოგადოების შორის 40 მანეთი შეჰკრიბა თელავის საქველმოქმედო სახელოსნოსათვის, რომელშიაც ღარიბნი ბავშვნი ქრა-კერვასა სწავლობენ. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე იმათ, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს ამ სახელოსნოსათვის.

სახელოსნოს მმართველნი

Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.